ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 7-11

"22" დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებით (ვებგვერდი, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016075) დამტკიცებულ რეგლამენტში შევიდეს ცვლილება:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მთავრობის სხდომაზე განსახილველი აქტის პროექტს უნდა ერთოდეს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ, მისი მიღების მიზეზი და მიზანი, საჭიროების შემთხვევაში, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, განმარტებით ბარათში აღინიშნება აგრეთვე პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი.".

2. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მთავრობა უფლებამოსილია, სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგში ცვლილებების (საკითხის დამატების, ამოღების, გადატანის, რიგითობის შეცვლის) შეტანის თაობაზე, კანონმდებლობის შესაბამისად.".

3. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხს მოხსენების სახით წარადგენს თბილისის მერი ან მთავრობის სხვა წევრი, ხოლო თბილისის მერიის იმ სტრუქტურული ერთეულის ინიცირებულ საკითხს, რომლის ხელმძღვანელი არ არის მთავრობის წევრი, წარადგენს ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტი (შემდგომში - რეგლამენტი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) მუშაობისა და სხდომების ეფექტურობის ამაღლებისა მიზნით, მიზანშეწონილია არსებულ რეგლამენტში განხორციელდეს რიგი ცვლილებები. კერძოდ:

პროექტის თანახმად, მთავრობის სხდომაზე განსახილველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - განკარგულებას, უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რასაც მოქმედი რეგლამენტი არ ითვალისწინებს. ცვლილების მიხედვით განმარტებით ბარათში აისახება საკითხის მიღების მიზეზი და მიზანი, მისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, პროექტის ავტორი და წარმდგენი.

წარმოდგენილი პროექტით, ზუსტდება დღის წესრიგში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, ცვლილება გულისხმობს სხდომის დღის წესრიგში საკითხის დამატებას, ამოღებას, გადატანას ან რიგითობის შეცვლას, რაც შესაძლებლობას მისცემს მთავრობას უფრო ოპერატიულად და მიზანმიმართულად მიიღოს გადაწყვეტილებები მთავრობის სხდომაზე.

qპროექტით რეგლამენტში აღმოიფხვრება ტექნიკური ხარვეზი და განისაზღვრება, რომ იმ სტრუქტურული ერთეულის ინიცირებულ საკითხს, რომლის ხელმძღვანელი არ არის მთავრობის წევრი, წარადგენს ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. რეგლამენტის მოქმედი რედაქცია, ასეთ ჩანაწერს არ იცნობს. ცვლილება კი შესაძლებლობას მისცემს ზემოხსენებულ ხელმძღვანელ პირებს უფრო მეტი ჩართულობა მთავრობის სხდომების მუშაობაში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.